# ახალი წარმატებებისთვის!

ზუსტად ერთი წელი გავიდა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებიდან. როგორც ცნობილია, აქტივის კრებამ იმსჯელა საქართველოში ფიზკულტურასა და სპორტში არსებული მდგომარეობის თაობაზე, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაავალა მეტი იმუშაონ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებისთვის, ახალგაზრდობის, განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის სპორტულ საქმიანობაში ჩაბმისთვის, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის სრულყოფისთვის.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებიდან გასულ პერიოდში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა რესპუბლიკაში. ორგანიზაციულად განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები, ახალი ენერგიით შეუდგნენ საქმიანობას სპორტსაზოგადოებები, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, მეტი ყურადღება მიექცა საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას.

ამჟამად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენმა ნაკრებმა გუნდებმა წარმატებით დაიცვან რესპუბლიკის სპორტული ღირსება მოსწავლეთა საკავშირო და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადებზე, საგრძნობი ღონისძიებები ხორციელდება, რათა რაც შეიძლება მეტი მაღალკვალიფიციური სპორტსმენი აღუზარდონ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს მოსკოვის ოლიმპიადაში წარმატებით გამოსვლისთვის.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ყველაფერი რიგზეა. ბევრი ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ ასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, რის გამო ჩამორჩენა გვაქვს მთელი რიგი სპორტული სახეობების განვითარების, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების, მოსახლეობის ფართო ფენებში მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვის საქმეში.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებები ჩვენი საქმიანობის პროგრამაა და მისი განხორციელება ყველა პარტიულ, სამეურნეო, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის 1980 წლის ოლიმპიადის შესახვედრად სპორტული ოსტატობის დონის ზრდისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 128 (6183)

1978 წ. 2 ივლისი, კვირა

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ვის როგორ აქვს საქმე?

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის ახალ ოლიმპიურ ციკლში (1977-80 წწ) სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ახალი პირობებით ტარდება. მისი მიზანია ოლიმპიური სახეობების შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვა.

საქართველოს სპორტკომიტეტის 1978 წლის 8 თებერვლის ბრძანებით ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და საუწყებო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მიეთითათ კიდევ უფრო ფართო ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების წარმატებით შეჯამებისთვის. მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრებებში ფიზკულტურის ყველა კოლექტივი, უმაღლესი სპორტული ოსტატობის ყველა სკოლა, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული და ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, ოლიმპიური მომზადების საყრდენი პუნქტები მონაწილეობდნენ; შექმნონ მასობრივი სპორტის, სპორტული შეჯიბრებების ჩატარების დონის კიდევ უფრო ამაღლება; უზრუნველყონ მომზადება მაღალი კლასის სპორტსმენებისა, რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატებისა, რომლებსაც საერთაშორისო სარბიელზე და 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა შეეძლებათ.

როგორია ამ შეჯიბრების პირობები?

სოცშეჯიბრებაში მონაწილე სპორტული ორგანიზაციები სამ ჯგუფად არიან დაყოფილნი:

I ჯგუფში არიან ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქები;

II ჯგუფში — სპორტსაზოგადოებები და რესპუბლიკის უწყებების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები;

III ჯგუფში — ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტები.

სოცშეჯიბრება ტარდება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოების, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს, სსრ კავშირის, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და პირველობებში, 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში ჭაბუკთა, იუნიორთა და მოზრდილ სპორტსმენთა და გუნდების მიერ მოპოვებული I-III ადგილების რიცხვით.

2. ოლიმპიურ სახეობებში სსრ კავშირის ნაკრები გუნდების კანდიდატთა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების რიცხვით (ახალი ოსტატების მომზადება, ან ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით დადგენილი ნორმატივების განმეორებით შესრულება).

შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას (ზაფხულის სპორტის სახეობებში — 15 იანვარს, ზამთრის სახეობებში — 15 მაისს) შეჯიბრებაში მონაწილე ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ჩასათვლელი ქულები შემდეგი ნიმუშის მიხედვით დაერიცხებათ:

ა) ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოების, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების, საკავშირო საბჭოს, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებსა და პირველობებში, 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში პირადი I-III ადგილების მოპოვებისთვის: პირველი ადგილისთვის — 5 ქულა; მეორე ადგილისთვის — 3, მესამე ადგილისთვის — 1.

ბ) შეჯიბრებათა ხასიათის მიხედვით ჩასათვლელი ქულების დარიცხვა შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებით მოხდება:

ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოებისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოს პირველობებში — 2; საკავშირო პირველობებში — 3, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოებისა და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო ჩემპიონატებში — 4, საკავშირო ჩემპიონატებში — 5, ევროპის პირველობებში — 6, მსოფლიო პირველობებში — 7, ევროპის ჩემპიონატებში — 8, მსოფლიო ჩემპიონატებში — 9, 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში — 10.

გ) საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის (ახლის მომზადება, ან ნორმატივის დამტკიცება) მომზადებისათვის პროგრამის იმ სახეობებში, რომელიც ამ ორგანიზაციისთვის საგეგმო დავალებითაა გათვალისწინებული ეწერებათ 4 ქულა, ხოლო დაუგეგმავ სახეობაში — 2.

როგორია ზაფხულის სახეობებში 1978 წლის პირველი ნახევრისთვის შეჯიბრების მსვლელობის შედეგები?

შედეგების შეჯამებისას მოგროვებულ ქულათა საერთო ჯამში გათვალისწინებულია მხოლოდ ოლიმპიურ სახეობებში მოპოვებული მაჩვენებლები, ხოლო მოპოვებულ საპრიზო ადგილების რიცხვში შედის არაოლიმპიური სახეობებიც.

**I ჯგუფში** ასეთი მდგომარეობაა. თბილისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და მის გუნდებს მოპოვებული აქვთ 101 პირველი, 78 მეორე და 90 მესამე ადგილი. სულ მოგროვილი აქვთ 1388 ქულა და პირველ ადგილზე იმყოფებიან. მეორე ადგილზეა ქუთაისი, შესაბამისად 5; 6; 10 და 117,0, მესამეზე — აჭარის ასსრ — 9; 1; 6 და 105,0. შემდეგ მოდიან ქ. გორი — 4; 6; 3; 82,0 და აფხაზეთის ასსრ — 2; 9; 3; 82,2, რუსთავი — 1; 4; 4; 39,0, სამხრეთ ოსეთი — 0; 2; 0; 6,0, ჭიათურა — 0; 0; 1; 2,0, წყალტუბო — 0; 0; 1; 0.

**II ჯგუფში** ასეთი მდგომარეობაა: „ბურევესტნიკი" — 37 პირველი ადგილი, 26 მეორე ადგილი და 13 მესამე ადგილი. სულ 522,0 ქულა. შემდეგ მოდიან: „დინამო" — 36; 29; 37 და 443,5, „განთიადი" — 15; 24; 23 და 350, „ლოკომოტივი" — 19; 13; 7 და 336,0. „სპარტაკი" — 10; 3; 11 და 140,0. „ვოდნიკი" — 7; 1; 3 და 90,0, „კოლმეურნე" — 6; 6; 15 და 67,0, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბი — 4; 9; 7 და 35, „შრომითი რეზერვები" — 3; 3; 3 და 9,0.

**III ჯგუფში** დაწინაურდა მახარაძის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაცია. მისი მაჩვენებლები ასეთია: 1; 0; 0 და 40,0 ქულა. ზესტაფონის რაიონი — 1; 0; 0 და 15, 0, კასპის რაიონი — 2; 2; 3 და 14,0, ახმეტის რაიონი — 1; 0; 0 და 10,0, ახალციხის რაიონი — 0; 1; 0 და 9, თელავის რაიონი — 1; 0; 3 და 0, საჩხერის რაიონი — 0; 1; 0 და 0, მესტიის რაიონი — 0; 0; 1 და 0.

**საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს დაგეგმარებისა და აღრიცხვის განყოფილება.**



გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე დამთავრდა გაზეთ „იზვესტიის" პრიზების გათამაშების საქართველოს რესპუბლიკური ტურნირი, რომელსაც საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივი უნდა დაესახელებინა. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა.

ასპარეზობაში უკონკურსოდ ძალებს ცდიდნენ ეთიოპიელი მძლეოსნები, რომლებიც ჩვენს დედაქალაქში შეკრებას გადიან. ამ შეჯიბრებაში მაყურებლებმა ნახეს სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვ. სანეევის გამოსვლა, რომელმაც ისე, როგორც ბადროს ტყორცნაში ნ. ლაბაძემ (62 მ) სპორტის ოსტატის შედეგით (16,46 მ) გაიმარჯვა.



სურათებზე: ზემოდან — 100 მეტრზე მორბენალი ქალების სტარტი; ვ. სანეევი ასპარეზობისას; დისტანციაზე არიან 1500 მეტრზე მორბენალი ვაჟები.

ო. გელაშვილის ფოტოები.



# საქართველოს გუნდი მეოთხე ადგილზეა

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მარათონულ რბენასა და 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. შეჯიბრება ახალ ოლიმპიურ ტრასაზე მიმდინარეობდა. მოსიარულენი ასპარეზობდნენ ფრუნზეს სახელობის სანაპიროზე გამართულ 5-კილომეტრიან წრეზე, ხოლო მარათონელები იმავე გზით ცენტრისკენ გაემართნენ და რბენა ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონთან დაამთავრეს.

მცხუნვარე მზემ რბოლიდან ბევრი მონაწილე გამოთიშა: მარათონში 60 კაცმა ვერ მიაღწია ფინიშამდე, ხოლო სპორტულ სიარულში 36 კაცი გამოვიდა ტრასიდან. ჩემპიონები გახდნენ: მარათონულ რბენაში — ი. ლაპტევი (ალმა-ათა), სპორტულ სიარულში — ო. ბარჩი (ფრუნზე).

ჩვენი რესპუბლიკა ამ შეჯიბრებაში ცუდად როდი გამოვიდა. მარათონულ რბენაში გ. ხუფაცარიამ (2:32.40,0) 50 სპორტსმენს შორის 36-ე ადგილი დაიკავა, ხოლო სპორტულ სიარულში გ. პეტროვი და ა. ბერიძე ფინიშთან მისულ 85 მონაწილეს შორის 22-და 24-ე ადგილებზე გავიდნენ. ორივემ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ჯამში საქართველოს მძლეოსნებმა რესპუბლიკების გუნდებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავეს.

მძლეოსნობა

ა. ბერიძე.

# სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

# მობურთალსა — მოედანი

> **მეტი** ყურადღება უნდა დავუთმოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას სოფლად. აქაც საკმაოდ ბევრი პრობლემა გვაქვს. სოფლად ფართო გაქანება უნდა მიეცეს სპორტის ხალხურ-ეროვნულ სახეობებს, მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს, ფიზკულტურულ დღესასწაულებს. უფრო ეფექტიანი დახმარება უნდა გაუწიონ სოფელს ქალაქელმა შეფებმა.
>
> რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.

**ᲥᲕᲔᲛᲝ** ქართლი, ალგეთის ხეობა, ფარცხისი, გარისი, მარაბდა — ათასჯერ იავარქმნილი და კვლავ აღმსდგარი; ქვემო ქართლი — მზეზე მოკიაფე ფრინველი ყანები. შაბიამნისფრად დაფერილი ზვრები და ბაღები, კოპწია სოფლები... აქაურებმა ოდითგან იცოდნენ, რომ ყოველ ერს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა ჯანმრთელი და ფიზიკურად ძლიერი თაობა, ამიტომაც იყო ქვემო ქართლი ძველთაგან განთქმული მობურთალეებითა და მშვილდოსნებით, მოჯირითეებითა და მოჭიდავეებით.

ამ 15-20 წლის წინათ თეთრი წყაროს რაიონის თითქმის ყველა სოფელში ჰქონდათ საჭიდაოები, თითქმის ყველა სოფელში ჰყავდა ქომაგი ჩვენი ეროვნული სპორტის საუნჯეს, მაგრამ გავიდა დრო და აქაურებმა ნელ-ნელა ზურგი აქციეს ძველსა და ნაცად მეგობარს... აღარ ჭიდაობენ არდისუბნელები, ბოგველები, მაწევნელები, მანგლისელები, ასურელები, კოდელები, მუხათლები (მუხათელი იყო სახელგანთქმული ქართველი ქალი ანაბაჯი, ჭიდაობაში ცნობილ ფალავნებსაც რომ არ უდებდა ტოლს)... მარტო ბორბალოს საბჭოთა მეურნეობაშილა ჰქონიათ საჭიდაო და ისიც რაიონის სპორტკომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს დაჟინებითა და ძალდატანებით მოუწყვიათ.

მობურთალსა — მოედანიო... როცა თეთრი წყაროს რაიონის სოფლებში დიდ ყურადღებას უთმობდნენ სპორტის ამ ეროვნულ სახეობას, მაშინ იქაურ მოჭიდავეებს ასპარეზიც ჰქონდათ: მოსავლის აღებასთან დაკავშირებით, ყოველ წელიწადს, აგვისტოს მიწურულში სამების ტყეში იმართებოდა დიდი სახალხო დღესასწაული — „კომუნისტური დასვენების დღე". აქვე ეწყობოდა შეჯიბრება ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და, რაც მთავარია, ქართულ ჭიდაობაში. სწორედ ამ დღისთვის ემზადებოდნენ რაიონის სხვადასხვა სოფლების ფალავნები, აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და თავგამოდებით იცავდნენ საკუთარი სოფლის სახელს. სამწუხაროდ, თეთრწყაროელებმა კარგა ხანია დაივიწყეს ეს ტრადიციული დღესასწაული და მასთან ერთად ქართული ჭიდაობაც...

ჯორჯიაშვილის საბჭოთა მეურნეობის სასოფლო საბჭოს შენობაში თავმჯდომარის გარდა კიდევ ორი ხანშიშესული კაცი — ა. მესტვირიშვილი და კოდელი დ. ყვავილაშვილი დაგვხვდნენ. როცა ჭიდაობაზე და ძველ მოჭიდავეებზე ჩამოვარდა სიტყვა, ამ უკანასკნელთ თვალები გაუბრწყინდათ, რაღაცნაირი ღიმილით გადახედეს ერთმანეთს — დიდი ხნის წინათ ჩავლილი ახალგაზრდობა თუ გაახსენდათ...

— საჭიდაოს მოწყობას ბევრი არა უნდარა, — იძახის მესტვირიშვილი — დამკვრელები და ერთი მანქანა ნახერხი... კიდევ, რა თქმა უნდა, ჯეელი ბიჭები, ისეთები გული და ძალღონე რომ ერჩით.

— თქვენ საჭიდაო მოაწყეთ და კოლიდან ისეთი ბიჭები ჩამოგირეკოთ, რომ... — ტრაბახობს ყვავილაშვილი, თითქოს კიდაში კი ჰქონდეთ საჭიდაო.

— არსენა ოძელაშვილის სახელობის პრიზი დავაწესეთ, სექტემბერში რესპუბლიკური შეჯიბრების გამართვას ვაპირებთ. — მითხრა თეთრი წყაროს რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ლონდარიძემ.

კარგი საქმე განუზრახავთ თეთრწყაროელებს, მაგრამ ნეტავ თვითონ რითი აპირებენ ამ საინტერესო ასპარეზობაში თავის გამოჩენას?... არადა მართლაც ბევრი არაფერი უნდა საჭიდაოს მოწყობას — ნახერხსა და დამკვრელებს ყველგან ადვილად იშოვნიან, ჭიდაობის მსურველიც ბევრი გამოჩნდება, მთავარი მონდომებაა, აკი უთქვამთ — თუ გული გულობს, ქადა ორივ ხელით იჭმევაო...

მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობიდან წერილი მივიღეთ: დიდ თონეთში ფეხბურთის მოედანი გავერანდა — მანქანებისა და პირუტყვის სათარეშო ადგილად იქცაო. ამას წინათ თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ყველა საბჭოთა მეურნეობისთვის დაუვალებია — ჭარბი თანხები სპორტული კომპლექსების მოსაწყობად გამოიყენეთო, მაგრამ საეჭვოა, რომ მანგლისელთა სათანადო თანხა ამ მეურნეობაში შემავალ შვიდივე სოფელს გასწვდეს, რადგან არც ერთში არ არის ხეირიანი სპორტული მოედანი.

ასეთივე მდგომარეობაა ასურეთის საბჭოთა მეურნეობაშიც — შესაკეთებელია სპორტული კომპლექსი, მაგრამ, როგორც ჩანს, სოფლის თავკაცები ამისათვის თავს მაინცა და მაინც არ იწუხებენ — სოფსაბჭოს თავმჯდომარემ ქ. წულუკიძემ ისიც კი არ იცოდა, თუ რა თანხის გამოყოფას აპირებს მეურნეობა ამ სამუშაოების შესასრულებლად. აქვეა რაიონში ერთადერთი საცურაო აუზი, რომელიც 1969 წელს აუშენებიათ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე შიგ ერთხელაც არა მდგარა წყალი, ახლა კი დანგრევის პირზეა მისული და სასწრაფო შეკეთებას საჭიროებს. ასურეთის საშუალო სკოლის მოსწავლე სპორტსმენები ერთერთი მოწინავენი არიან მთელ რაიონში, მათ კი მზრუნველობა და ხელისშეწყობა სჭირდებათ. ამასთან, არც ჯორჯიაშვილისა და არც ასურეთის საბჭოთა მეურნეობებს არა ჰყავთ ფიზკულტურის მეთოდისტი, რის გამოც ამ მეურნეობებში გაერთიანებულ თერთმეტივე სოფელში სპორტული მუშაობა ჩაშლილია.

სპორტული ბაზებით ვერც რაიონის ცენტრი დაიკვეხნის. მართალია, შარშან ოქტომბერში, საზეიმოდ გახსნეს ახალი სტადიონი, რომელიც ათი წელი შენდებოდა. მაგრამ „ალმოჩნდა", რომ მშენებლებს, საქსოფმშენის მეექვსე ტრესტის, 55-ე მოძრავ-მექანიზებული კოლონის თანამშრომლებს (კოლონის უფროსი ა. დიდებაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ბექაური), ბოლომდე არ მიუყვანიათ საქმე — ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია მინდორი, დასაგებია ბალახიანი ბელტი, მოსაწყობია კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები. ახლა მიმდინარეობს დამატებითი სამუშაოები და არავინ იცის ბოლოს და ბოლოს როდის დასრულდება მშენებლობა.

დაბის ცენტრში ერთი შესანიშნავი, პატარა ხელოვნური ტბაა მოწყობილი, იგი თეთრწყაროელ მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. ზაფხულობით აქ ახალგაზრდებიც იყრიან თავს, მაგრამ რაკი გასართობი სხვა არაფერი აქვთ, ისევ იქვე, დიდრონი ხეების ჩრდილში მიყუჟულ პავილიონს მიაშურებენ და ღვინის სმაში ჰკლავენ დროს. პავილიონის საწინააღმდეგო არავის არაფერი აქვს, არც ღვინის ზომიერი სმა დაუშლია ვინმეს ქართველი კაცისთვის, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება, რომ ტბის გარშემო მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, გაიწმინდოს წყალსაცავის ფსკერი, ჩამოყალიბდეს მოცურავეთა, წყალში მხტომელთა, ნიჩბოსანთა ჯგუფები, ერთი სიტყვით იქაურობა კულტურული დასვენებისა და ჯანმრთელობის კერად გადაიქცეს.

გასაკეთებელი მართლაც ბევრია, მაგრამ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს რაიონის ხელმძღვანელებიც უნდა ამოუდგნენ მხარში, მით უმეტეს, რომ სპორტკომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს ხელმძღვანელები ახალგაზრდები არიან, ახალგაზრდებს კი დახმარება სჭირდებათ.

ჩვენმა მანქანამ უკან მოიტოვა თეთრი წყარო, ბოგვი, ჯორჯიაშვილი, ასურეთი და მარნეულისკენ მიმავალ [illegible] ორთავ მხარეს [illegible] მეურნეობის [illegible] დაბათავებული ყანები — გამრჯე გლეხკაცს ბარაქად უქცევია აქაური ურწყავები. გადასახვევიდან ხუთიოდ კილომეტრიც არა გვქონდა გამოვლილი, რომ უცებ, მხარმარცხნივ შემაღლებულ ადგილზე წამოიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შესანიშნავი ძეგლი — ქართველ ქალს წინ ორი, პატარა, ჯიშიანი, მგლისმუხლა ბიჭი გაუშვია, რომელთაც მამის ნაქონი უზარმაზარი ხმალი ჩაუბღუჯავთ და ჯაგარაშლილნი თითქოს იღრინებიან — კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანიო. კიდევ ბევრი ლეკვია ალგეთზე გასაზრდელი, დაიზრდებიან კიდეც, თუკი მზრუნველობასა და ყურადღებას არ მოვაკლებთ.

**Ნ. ᲨᲐᲢᲐᲘᲫᲔ.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

•

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲒᲐᲜ:** თეთრწყაროელთა გასაჭირი ჩვენი რესპუბლიკის რაიონთა სპორტულ ცხოვრებაში გამონაკლისი როდია — რედაქციაში თითქმის ყოველდღე მოდის წერილები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან, გვწერენ ბავშვები, ახალგაზრდები, მოზრდილებიც...

სპორტული მოედნები არა აქვთ: ხაშურის რაიონის დაბა სურამის ლენინის და კიკვიძის ქუჩის მცხოვრებლებს, ვანის რაიონის სოფელ ბზვანისა და ზესტაფონის რაიონის სოფელ ძლოურდანეელ ახალგაზრდებს, ხოლო აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, თერჯოლის რაიონის სოფელ თუზსა და სოფელ ხრეითში (ჭიათურა) სოფლის თავკაცებს ფეხბურთის მინდვრები გადაუხნავთ... გაგიკვირდებათ, მაგრამ ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისისა და მაიაკოვსკის რაიონის სოფელ როკითის სკოლის დარაჯები სპორტულ მოედანზე ფეხს არ ადგმევინებენ ბავშვებს, მათ კი სხვა გასართობი ადგილი არა აქვთ. ცხინვალის რაიონის სოფელ არცევის სკოლის მოსწავლეებს არ გააჩნიათ სპორტული ინვენტარი.

წერილები ყოველდღე მოგვდის და მასში აშკარად იგრძნობა ჩვენი ახალგაზრდების დიდი სიყვარული სპორტისადმი, მათი გულისტკივილი და იმედი...

# მასპინძლები — მეექვსეზე







**ᲐᲛᲐᲡ** წინათ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ტრეკზე რბოლაში, რომელშიც მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ლატვიის, ბელორუსიისა და საქართველოს კოლექტივები მონაწილეობდნენ. როგორც ადგილიდან ერთ კილომეტრზე გიტში, ისე ჯგუფურ რბოლაში პირველობა წილად ხვდათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს შესაბამისად ი. რეინფელდს — 1.07,4 და ე. სილოვსს (ორივე — ლატვია).

სპრინტსა და ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით რბოლა მოიგეს მოსკოველმა ოსტატებმა პ. დოროჩნევმა და ვ. სოკოლოვმა. 100 წრეზე გუნდურ რბოლაშიც მოსკოვის კოლექტივმა იმარჯვა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები, იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის პრიზიორი ვ. სუმაროკოვი, საბჭოთა კავშირის შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ა. კოლგანოვი, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ვ. სოკოლოვი და საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონი ვ. კოროლიოვი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი, ლატვია, უკრაინა. მასპინძლები მეექვსე ადგილზე არიან.

**Გ. ᲓᲝᲚᲔᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

* * *

**სურათებზე:** გუნდური რბოლის ტრასაზე; ი. რეინფელდი შეჯიბრების შემდეგ; მოსკოვის კვარტეტი, მარცხნიდან — ვ. სუმაროკოვი, ა. კოლგანოვი, ვ. სოკოლოვი და ვ. კოროლიოვი.

ავტორის ფოტოები.

# „მელაზე" მონადირენი

**ᲙᲝᲯᲝᲠᲘᲡ** მიდამოებში ჩატარდა საქართველოს პირველობა რადიოსპორტში — „მელაზე ნადირობა".

ყოველ კოლექტივში ხუთი სპორტსმენი იყო, მათ შორის ერთი ქალი. ტურნირში თბილისის (2), ბათუმის, ქუთაისისა და დოსააფის რესპუბლიკური რადიოსკოლის გუნდები ჩაებნენ.

პირველობა თბილისის პირველმა ნაკრებმა მოიგო, რომელმაც 674,... საჯარიმო ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან რადიოტექნიკური სკოლისა (761, 29) და თბილისის მეორე (887,59) გუნდები.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები დაიკავეს: გოგონებში — ც. ჯამელაშვილმა, ვ. გოგიჩაიშვილმა, გ. საიკიანმა; ქალთა შორის — ლ. ნოვოსელცოვამ, ლ. პეტროვამ, ნ. ძაგოშვილმა; ჭაბუკებში — ... გაგნიძემ, ს. იუსოვმა, ი. მინდიაშვილმა; ვაჟებში — ა. მარჩენკომ, ვ. ნეჩეპურენკომ, ა. კუკუშკინმა (ყველა — თბილისი).

**Თ. ᲙᲘᲙᲜᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

•

**[illegible]**

**✦ ᲐᲑᲐᲨᲐ**

ჩატარდა რაიონული პირველობა ფრენბურთში რვაწლიანი სკოლების გუნდებს შორის.

პირველი ადგილი დაიკავეს ... შისპირის ნორჩმა ფრენბურთელებმა, მეორე ადგილზეა კვათახევი, ხოლო მესამეზე — ეწერის გუნდი.

**Რ. ᲞᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ.**

## ფეხბურთი

### უმაღლესი ლიგა

**30 ივნისს** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა" და ალმა-ათის „ქაირათს" შორის.

სპარტაკელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1. ოთხივე ბურთი „ქაირათის" კარში გაიტანა იარცევმა და ყველა შემთხვევაში მისი „ასისტენტი" იყო ნახევარმცველი გავრილოვი. ერთ-ერთი გოლი იარცევმა გაიტანა პენალტით, რომელიც დანიშნული იყო გავრილოვის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის. ალმაათელთა ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია ევდოკიმოვი.

იარცევის ანგარიშზე ახლა მოდის 12 გატანილი ბურთი.

●

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**გოგვყავს** ქუთაისელ ფეხბურთელთა განვლილი ტურის მატჩის სტატისტიკური მონაცემები:

„ყუბანი" (კრასნოდარი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (1:0).

**„ყუბანი":** **არტიომენკო, ტეროშანესიანი, ბურსა, რიბაკი, პოლოვინკო, სემენიუკოვი, ბატარინი, სიომინი, პლოშნიკი (ანდრეიჩენკო), კაზაკოვი (ჟივოტიკოვი), ჩუგუნოვი (ლავოლინი).**

**„ტორპედო": მჭედლიძე, ზ. სვანაძე, სულაქველიძე, მელიქია, თეგზაძე (ხუცურაული), ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ფოფხაძე, ფესტვენიძე (თ. სვანაძე), ძებისაშვილი, ქვერნაძე (კვაჭანტირაძე).**

**მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).**
**გოლი — კაზაკოვი (მე-13 წ.).**
**გაფრთხილებულია ბურკაძე.**
**დუბლიორები — 0:3.**

●

### მეორე ლიგა

**IV ზონა**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 2 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზვეზდა" | 22 | 13 | 4 | 5 | 35—13 | 30 |
| „შირაკი" | 22 | 10 | 8 | 4 | 41—23 | 28 |
| „კოტაიკი" | 22 | 11 | 3 | 8 | 29—31 | 25 |
| „გურია" | 22 | 10 | 5 | 7 | 33—26 | 25 |
| „ყარაბ". | 22 | 9 | 6 | 7 | 27—18 | 24 |
| „ტორპედო" | 22 | 9 | 6 | 7 | 24—19 | 24 |
| „დინ". ზ. | 22 | 8 | 8 | 6 | 27—18 | 24 |
| „ავტომობ". | 22 | 11 | 1 | 10 | 26—31 | 23 |
| „დრუჟბა" | 22 | 10 | 3 | 9 | 27—20 | 23 |
| „დინ" ბ. | 22 | 9 | 5 | 8 | 23—20 | 23 |
| „ზენიტი" | 22 | 7 | 9 | 6 | 24—20 | 23 |
| „ლოკომოტ". | 22 | 9 | 4 | 9 | 33—34 | 22 |
| „დინ". ს. | 22 | 8 | 6 | 8 | 33—30 | 22 |
| „რუბინი" | 22 | 8 | 6 | 8 | 25—24 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. | 22 | 7 | 8 | 7 | 19—19 | 22 |
| „პროგრ". | 22 | 10 | 1 | 11 | 24—33 | 21 |
| „დინ". კრ. | 22 | 9 | 3 | 10 | 24—23 | 21 |
| „გასტ". | 22 | 9 | 3 | 10 | 24—28 | 21 |
| „ტურბ". | 22 | 9 | 3 | 10 | 22—32 | 21 |
| „გაზოვ". | 22 | 8 | 5 | 9 | 27—24 | 21 |
| „ურალ". | 22 | 8 | 4 | 10 | 28—31 | 20 |
| „დილა" | 22 | 5 | 10 | 7 | 23—24 | 20 |
| „ხაზარი" | 22 | 6 | 4 | 12 | 17—35 | 16 |
| „არაზი" | 22 | 2 | 3 | 17 | 13—52 | 7 |

●

### ოთხთა ტურნირი

ქ. ბლაგოევგრადში (ბულგარეთი) ერთ კვირას მიმდინარეობდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (1961-62 წლებში დაბადებულნი), რომელშიც მონაწილეობდნენ ბლაგოევგრადის „პირინი", ქილინას „ზეველი" (ჩეხოსლოვაკია), სოფიის „ცსკა-სეპტემვრიისკო ზნამე" და აჭარის ნაკრები.

პირველ ტურში აჭარის ნაკრებმა მარცხი განიცადა „ზეველთან" შეხვედრაში — 2:5, მაგრამ კარგად ითამაშა სოფიის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2. დასკვნით ტურში სტუმრებმა წააგეს შეხვედრა „პირინთან" და საბოლოოდ დაიკავეს III ადგილი. გამარჯვება წილად ხვდა „პირინს", II ადგილზეა „ზეველი".

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მოიპოვა ბათუმელმა ზ. ძნელაძემ.

**ო. მურვანიძე.**

---

**საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა**

## ნიჩბოსნები... უნავებოდ

**ნიჩბოსნობა**



**შეჯიბრება** აკადემიურ ნიჩბოსნობაში ფოთში, კაპარჭინაზე ჩატარდა. გუნდები აფხაზეთმა, აჭარამ, თბილისმა, ქუთაისმა, რუსთავმა, ფოთმა და მცხეთამ გამოიყვანეს. თითოეულ კოლექტივში 8 ჭაბუკი და 5 გოგონა იყო. სამწუხაროდ, მცხეთა სარბიელზე გოგონების გარეშე გამოვიდა, ხოლო რუსთავს ინვენტარი აკლდა, რის გამო აქაური სპორტსმენები პირველ დღეს მაყურებლების როლში აღმოჩნდნენ, ხოლო მეორე დღეს ორიოდე ნავის შოვნა შეძლეს. ცხადია, ამ პირობებში მოსწავლე-ნიჩბოსანთა ძალების მთლიანად შემოწმება არ მოხერხდებოდა. ვერც შეჯიბრება იყო სათანადოდ ორგანიზებული. მისი საზეიმოდ გახსნა და დახურვა არავის მოგონებია, აკლდათ არბიტრები, ყველაფერი ეს შემაჯამებელ თათბირზე აღინიშნა და ორგანიზატორებს სამართლიანად უსაყვედურა საქართველოს სპორტკომიტეტის საწყლოსნო სახეობების განყოფილების უფროსმა გ. ცქიტიშვილმა.

შეჯიბრების შემდეგ შედგა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მოსწავლეთა სპარტაკიადაში იასპარეზებს. მაგრამ ტაშკენტში წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია, თუ საკავშირო სტარტამდე დარჩენილი ორი თვე მწვრთნელებმა და მოსწავლეებმა მაქსიმალურად არ გამოიყენეს.

გოგონები 1000 მეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ჭაბუკები — 1500 მეტრზე. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს.

**გოგონები.** **ერთადგილიანი.** ე. მატვეენკო (ქუთაისი) — 4.10,5, მ. კულიჯანოვა (თბილისი) — 4.15,9, ნ. მიროშნიჩენკო (ფოთი) — 4.20,1; **უმესაჭო ორადგილიანი.** თბილისი I (ჯ. აბდულაევა, მ. ტომარაძე) — 4.18,4, თბილისის II გუნდი — 4.24,2, ბათუმი — 4.28, 0, **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** თბილისი (ი. ბექაური, ო. მიზგაროვა) — 3.55,2, ბათუმი — 4.09,2, თბილისის II გუნდი — 4.16,0. **8×500 მ ესტაფეტა.** თბილისი, ქუთაისი, ბათუმი.

**ჭაბუკები.** **ერთადგილიანი.** ი. გოლშა (თბილისი) — 5.42,5, გ. ბიწაძე (სოხუმი) — 5.48,9, თ. ჩხიკვაძე (ბათუმი) — 5.51,7; **ორადგილიანი უმესაჭო.** ფოთი (ი. ზელიანუხინი, ს. იახტრებცევი) — 5.41,5, თბილისი — 5.45,7, ბათუმი — 5.46,7; **ორადგილიანი მესაჭით.** თბილისი (ვ. ლისენკო, ი. სოხინი, მესაჭე ზ. ბერიძე) — 5.52,4, ბათუმი — 5.59,2, მცხეთა — 6.06,3; **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ფოთი (ზ. მითაგვარია, ზ. დანელია) — 5.38,8, მცხეთა — 5.42,2, ბათუმი — 5.44, 6. **3×500 მეტრზე ესტაფეტა.** თბილისი, ბათუმი, ფოთი.

**გუნდური.** თბილისი — 10,5 საჯარიმო ქულა, ბათუმი — 13, ფოთი — 14, სოხუმი — 14, მცხეთა — 20, ქუთაისი — 23, რუსთავი — 31,5.

**ლ. ხეცურიანი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

---

## მოცურავე მოცურავეებისა და... მძლეოსნების შესახებ

**პრეს-ცენტრში** და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ ლოჟაში ბარე ასამდე კაცი ირეოდა. ერთნი მთელი გულისყურით აკვირდებოდნენ შეჯიბრებას, მეორენი სახელდახელო ინტერვიუს იღებდნენ გამარჯვებულთაგან, მესამენი კი გამალებულნი გადასცემდნენ კორესპონდენციებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში თუ პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იტალიაში, მექსიკაში, საბერძნეთში, შვეციაში, ერაყში... რატომაც არა, თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამართულმა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებამ გაზეთ „პრავდის" პრიზებზე ხომ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ჟურნალისტებს შორის ერთი ახალგაზრდა, საშუალო ტანის, ათლეტური აღნაგობის მამაკაცი შევიცანით. კალამი და უბის წიგნაკი მოემარჯვებინა. იგი სსრ კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მექსიკის ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი, მოსკოველი მოცურავე ს. ბელიც-გეიმანი გახლდათ.

თბილისელ სპორტის მოყვარულებს, რომლებსაც 1967 წელს ვაკის საცურაო აუზში გამართული სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა უნახავთ, უთუოდ ეხსომებათ ბელიც-გეიმანი. ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა მაშინ 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ესტაფეტაში კი ილიჩოვთან, კულიკოვთან და გუსევთან ერთად ევროპის რეკორდი დაამყარა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ცისფერ ბილიკებზე გამოდიოდა, ვიცოდით მისი ჟურნალისტური გატაცება და ისიც, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში სწორედ ამ პროფესიას ეუფლებოდა. ამდენად, არც გაგვკვირვებია ყოფილი მოცურავის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე გამოჩენა.

გავესაუბრეთ.

აღმოჩნდა, რომ ბელიც-გეიმანი ახლა გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას" თანამშრომელია. თავისი გაზეთის გარდა ახალგაზრდა ჟურნალისტი ინფორმაციებს აწვდიდა „გუდოკსა" და მოსკოვის რადიოს.

მაშინ. მძლეოსანთა შეჯიბრებაზე არც ერთსა და არც მეორეს სასაუბრო დრო არ გვქონდა. გადავწყვიტეთ „ლოკომოტივის" საცურაო აუზში შევხვედროდით ერთმანეთს.

აუზში რომ მივედით, ბელიც-გეიმანი ერთ მოცურავე გოგონას შენიშვნებს აძლევდა.

**— თბილისელ მოცურავეებს გამოცდილებას უზიარებთ?**

— ო, არა, ეს ჩემი გოგონაა, თამარა.

**— რა თქმა უნდა, კვიცი გვარზე ხტის.**

— რა ვიცი, ფიგურულ ცურვაშიც ვარჯიშობს, ჩოგბურთსაც მისდევს, ციგურებითაცაა გატაცებული. 13 წლისაა. ჯერ კიდევ ვერ აურჩევია, თუ რომელ სახეობას გაჰყვება საბოლოოდ. მეც ასე ვიყავი 16 წლამდე. ცურვაშიც ვვარჯიშობდი, ჩოგბურთშიც, ციგურებით სრიალშიც, ეტყობა, ჩემს ერთადერთ გოგონასაც მემკვიდრეობით მოსდევს ყოყმანი.



**— საბოლოოდ თქვენ როგორ აირჩიეთ ცურვა?**

— 15 წლისამ მოსკოვის პირველობაზე მივიღე მონაწილეობა. ჩემს გუნდს ვერც ერთი ქულა ვერ შევმატე. ერთი წლის შემდეგ კი ჩემპიონი გავხდი. ამან განსაზღვრა კიდეც ჩემი სპორტული გზა. ეს იყო 1961 წელს.

**— მას შემდეგ მრავალი ჯილდო მოიპოვეთ სხვადასხვა ქვეყნის საცურაო აუზებში. რომელს გამოარჩევდით?**

— ყოველი ჭეშმარიტი სპორტსმენი ოლიმპიურ მედალზე ოცნებობს. ამიტომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასია მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, რომლებიც 4×100 და 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის ესტაფეტებში მივიღე. დღესაც კარგად მახსოვს ჩემი განცდები სტარტის წინ და ემოციები ფინიშისა თუ დაჯილდოების შემდეგ.

**— თქვენ ძირითადად 400 და 1500 მეტრზე ცურავდით. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ დისტანციებზე აღწევდით დიდ წარმატებებს. 1966-68 წლებში 12-ჯერ გააუმჯობესეთ ევროპის რეკორდი, ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში ევროპის ჩემპიონიც გახდით 1500-მეტრიან დისტანციაზე. „გზად" კი, 800-მეტრიან მონაკვეთზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარეთ. ხომ ვერ „გამოიცნობთ" მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთა შედეგებს თქვენს საყვარელ დისტანციებზე?**

— რა თქმა უნდა, ძირითადად სტაიერად ვიყავი ცნობილი. მაგრამ, აი, თბილისში, ინგლისელებთან მატჩში, როდესაც 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი დავამყარეთ, ჩემდა გასაოცრად, სპრინტერის სისწრაფეც აღმომაჩნდა. პირველ ეტაპზე მეტოქეს ვაჯობე— 53,4 ვაჩვენე. იმ შეჯიბრებაში მომდევნო ეტაპებზე თურმე ვერც ერთმა ჩემმა თანაგუნდელმა და ვერც ინგლისელმა სპრინტერებმა ვერ გააუმჯობესეს ჩემი შედეგი. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელებმა ასე მითხრეს. რაც შეეხება მოსკოვის თამაშებში გამარჯვებულთა შედეგებს, გეტყვით. რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მოცურავეთა უკანასკნელ ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში, რომელიც 25-მეტრიან აუზში გაიმართა, ოკეანსგაღმელებმა 400-მეტრიანი დისტანცია 3 წუთისა და 50 წამის ფარგლებში გაცურეს. ვფიქრობ, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მომავალი ჩემპიონისა და დანარჩენი ორი პრიზიორის ორიენტირიც სწორედ ეს შედეგი უნდა იყოს, (მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მოცურავეთა. შეჯიბრება, ბუნებრივია, 50-მეტრიან აუზში გაიმართება. 25-მეტრიან აუზში კი მოცურავეები გაცილებით სწრაფად ცურავენ ა. გ.). იგივე უნდა ითქვას 1500-მეტრიან დისტანციაზე, სადაც მომავალ პრიზიორებს აუცილებლად დასჭირდებათ 15 წუთის „დახურდავება". საერთოდ, მოცურავეთა ორიენტირი სწორედ ის შედეგები უნდა იყოს, რომლებსაც ისინი დღეს აჩვენებენ 25-მეტრიან საცურაო აუზებში.

**— ახლა თბილისში დამთავრებული მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების შესახებ ვისაუბროთ. უბრალოდ, საინტერესოა მოცურავის თვალით დანახული მძლეოსანთა ასპარეზობა.**

— პირველი და ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რომელიც ამ შეჯიბრებაზე მივიღე, ეს დიდებული სტადიონია ასევე დიდებული ფეხბურთის მინდვრითა თუ სარბენი ბილიკებით, ტრიბუნებით. სწორედ ასეთ სტადიონებზე უნდა ტარდებოდეს დიდი შეჯიბრებები. ასეთ სტადიონზე ასპარეზობა მუდამ სასიამოვნოა. ეს კი სტიმულს აძლევს სპორტსმენს მაღალი შედეგების მოპოვებაში. უთუოდ ესეც დაეხმარა იაშჩენკოს მსოფლიო რეკორდის დამყარებაში. ახლა, წარმოიდგინეთ ამ საცურაო აუზში მღვრიე წყალში გამართული შეჯიბრება. სპორტსმენი უხალისოდ გამოვა სტარტზე და ბუნებრივია, ამის შემდეგ მაღალ შედეგებზე ოცნებაც ზედმეტი იქნება. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თბილისელმა მაყურებელმაც. დიდხანს დამამახსოვრდება, თუ როგორ გულთბილად ესალმებოდნენ ისინი 10000 მეტრზე გამარჯვებულ და მეორე პრიზიორ ეთიოპიელ მორბენლებს იფტერსა და კიდირის, ან კიდევ მათ თანაგუნდელ იოჰესსსა და იმეტუს, რომლებმაც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გაიმარჯვეს. მაყურებლებმა მართლაც ღირსეულად შეაფასეს მათი წარმატებები. დიდხანს დამამახსოვრდება ის გულთბილი მხარდაჭერაც, რომელიც იაშჩენკოს მიმართ გამოიჩინეს გულშემატკივრებმა. მათი გამხნევება რომ არა, ვლადიმერი ალბათ ჯერჯერობით ვერ შებედავდა 236 სანტიმეტრზე გადებულ თამასას, მით უმეტეს რომ მან რამდენიმე წუთით ადრე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. რაც შეეხება შეჯიბრების ორგანიზაციას, აღფრთოვანებული ვარ. მძლეოსნურ სექტორებზე ერთდროულად რამდენიმე სახეობაში უამრავი სპორტსმენი ეპაექრებოდა ერთმანეთს და მაინც, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ. არც ასპარეზობა გაჭიანურებულა. იგივე მინდა ვთქვა შეჯიბრების გახსნის ცერემონიალზე. ოღონდ ეს იყო, ცეკვის დროს რამდენჯერმე ფეიერვერკმა შეგვიშალა ხელი. საერთოდ, მასპინძლებმა კარგად გაართვეს თავი ძნელ საქმეებს ზოგიერთი წვრილმანის გარდა. იმედია, მომავალში ამასაც მოევლება და ალბათ, მაყურებელიც უფრო მრავლად გვეყოლებათ ტრიბუნებზე.

**ა. გურასაშვილი.**

* * *

სურათზე: ს. ბელიც-გეიმანი.

---

## ამჯერად ზუგდიდში

**თელავში** გ. ჩიკვაიძის თასის მოპოვების შემდეგ კოლმეურნე ძალოსნებმა ზუგდიდში მოიყარეს თავი. ეს იყო ძალთა დათვალიერება სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო თამაშების წინ. მიუხედავად იმისა, რომ ლონისძიებას რესპუბლიკის ოთხი უძლიერესი სპორტსმენი აკლდა, საკმაოდ მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა საჩხერის გუნდმა (მწვრთნელები ე. დვალი, თ. ლაშხი), II იყო აფხაზეთის ნაკრები (მწვრთნელი ფ. ასლანიანი), III ადგილი აჭარის ნაკრებს ერგო (მწვრთნელები რ. ბასილია, ქ. ქავთარაძე). პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. დევაძემ (საჩხერე), ზ. ქირიამ (ზუგდიდი), თ. მაისურაძემ (საჩხერე), ბ. ჩიოტაშვილმა (სამხრეთ ოსეთი), გ. მამაშვილმა (წყალტუბო), ი. გაფრინდაშვილმა (საჩხერე), ე. ჩოჩიევმა (სამხრეთ ოსეთი), ა. დვალმა (საჩხერე) და მ. კილურაძემ (აფხაზეთი).

**ვ. შავიშვილი.**

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# ახალი ჩემპიონი

**1970 წლის** შემოდგომაზე გავრცელდა ხმა, რომ საზონათშორისო ტურნირში კუნძულ მალიორკაზე (ესპანეთი) რ. ფიშერიც ითამაშებს. ეს საინტერესო იყო იმიტომ, რომ სუსის (1967 წ.) საზონათშორისო ტურნირის შემდეგ იგი სარბიელზე არ გამოჩენილა. მალიორკაზე მას თავისი ადგილი პ. ბენკომ დაუთმო (ამბობდნენ 2500 დოლარად), რადგან აშშ-ის პირველობაში, რომელიც ზონალური ტურნირის მნიშვნელობისა იყო, მონაწილეობა არ მიუღია. თვით ფიშერი ყოყმანობდა დაბრუნებოდა თუ არა საჭადრაკო ცხოვრებას. ბოლოს აშშ-ის ჭადრაკის ფედერაციის თავკაცმა, პოლკოვნიკმა ედმონდსონმა მაინც ჩააბა იგი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში. ფიშერი ჩავიდა მალიორკაზე სასპარეზოდ.

24 გამოჩენილი მოჭადრაკე, მათ შორის საბჭოთა დიდოსტატები ვ. სმისლოვი, ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტაიმანოვი 35 დღეს პაექრობდნენ პრეტენდენტთა მატჩების 6 საგზურისთვის. ბრძოლა უშეღავათოდ მიმდინარეობდა. შესანიშნავად თამაშობდა ფიშერი. ყველა შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისკენ მიილტვოდა, ამიტომაც ბევრად გაასწრო მეტოქეებს. მან 18,5 ქულით I ადგილი დაიკავა. II-IV ადგილებზე გასულნი გელერი, ბ. ლარსენი (დანია) და რ. ჰიუბნერი (გფრ) მას 3,5 ქულით ჩამორჩნენ. V-VI ადგილები ხვდათ ტაიმანოვსა და ვ. ულმანს (გდრ) — 14-14.

ამ პრეტენდენტებს დაემატნენ მსოფლიო ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და პრეტენდენტთა 1968 წლის მატჩების ფინალისტი ვ. კორჩნოი.

1971 წელი მთლიანად პრეტენდენტთა მატჩებს მიეძღვნა.

მეოთხედფინალური მატჩები დიდი სენსაციით დაიწყო. ვანკუვერში (კანადა, 16. V. — 2.VI) ფიშერმა გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა ტაიმანოვი — 6:0. მსგავსი რამ არ ახსოვდა ჭადრაკის ისტორიას. ფიშერმა კიდევ უფრო განაცვიფრა მსოფლიო, როცა დენვერში (აშშ, 6-25. VII) ნახევარფინალურ მატჩში ასეთივე ანგარიშით (6:0) სძლია ლარსენს.

ფინალში გავიდა პეტროსიანიც, რომელმაც მეოთხედფინალში მოუგო ჰიუბნერს (სევილია, 13-28.V) — 4:3 და ნახევარფინალში კორჩნოის (მოსკოვი, 4-28.VII) — 5,5:4,5.

დიდი გამოხმაურება ჰქონდა პეტროსიან — ფიშერის ფინალურ მატჩს (ბუენოს-აირესი, 30. IX. — 28. X.). მეტოქეებს 12 პარტია უნდა ეთამაშათ. სიტუაცია თავიდანვე დაიძაბა. პეტროსიანმა II პარტიაში რევანში აიღო და შეუპოვრად განაგრძობდა თამაშს. III პარტიაში ფიშერმა ყაიმს მიაღწია პოზიციის სამჯერ გამეორებით, მაგრამ VI პარტიიდან პეტროსიანი რაღაცნაირად დაძაბუნდა და ზედიზედ ოთხი პარტია წააგო, რამაც ყველა, პირველ ყოვლისა, თვით პეტროსიანი, ძალიან გააკვირვა. მერე იგი ვეიამბობდა, რომ ამ პარტიებს მთვარეულივით ვთამაშობდიო. აი ამ მატჩის მსვლელობა: 1:0, 0:1, 0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5, 1:0, 1:0, 1:0, 1:0 (6,5:2,5).

1951 წლიდან პრეტენდენტი პირველად უცხოელი მოჭადრაკე გახდა. რობერტ ფიშერის (9. III. 1943) საჭადრაკო ტალანტი ადრე გამომჟღავნდა. გულმოდგინე მეცადინეობით იგი სწრაფად დაწინაურდა: 15 წლიდან მონაწილეობდა ბრძოლაში მსოფლიო პირველობაზე, 16 წლისამ კი საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიიღო. ეს უპრეცენდენტო ამბავი იყო. 60-იან წლებში ფიშერი აშშ-ს უცვლელი ჩემპიონია. მისი ნათელი სტილი, ვეებერთელა პრაქტიკული ძალა მუდამ იწვევდა სიმპათიებს, მაგრამ მერყევმა, ჭირვეულმა ხასიათმა შემდეგ სამუდამოდ ჩამოაცილა იგი შეჯიბრებებს. ფიშერმა თავისი წარმატებებით დიდად აუწია პრესტიჟი ჭადრაკს დასავლეთში.

ბ. სპასკი ინტერესით შეხვდა ფიშერის გამარჯვებას. მას მიაჩნდა, რომ ამერიკელი დიდოსტატი ყველაზე ღირსეული პრეტენდენტი იყო. ვიდრე მეტოქენი დასხდებოდნენ სათამაშოდ, ხანგრძლივი მოლაპარაკება გაჩაღდა მატჩის მასპინძლის ვინაობის თაობაზე. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ითამაშებდნენ რეიკიავიკში (ისლანდია) ივლისაგვისტოში. მატჩის პირობები უცვლელი დარჩა: მეტოქეებს 24 პარტია უნდა ეთამაშათ. სპასკის ტიტულის შესანარჩუნებლად 12 ქულაც ყოფნიდა. ფიშერმა სეკუნდანტად თავისი მეგობარი დიდოსტატი უ. ლომბარდი მიიწვია (ამ დროს ლომბარდი მღვდელი გახლდათ და ანაფორაში დადიოდა), სპასკიმ კი ე. გელერი.

სტარტზე ფიშერი გაჭირვეულდა. ჯერ რეიკიავიკში დააგვიანა ჩასვლა, მაგრამ მერე I პარტია რომ წააგო, II პარტიის სათამაშოდ არ გამოცხადდა. მთავარმა მსაჯმა, დიდოსტატმა ლ. შმიტმა (გფრ) პარტია წაგებულად ჩაუთვალა. სპასკის შეეძლო აღარ გაეგრძელებინა მატჩი და ჩემპიონად დარჩებოდა; მაგრამ მეტოქეს აპატია და ბრძოლაც გაგრძელდა. III პარტიის თამაში ფიშერმა მაყურებელთა დაუსწრებლად მოითხოვა. მერე დამშვიდდა და ბრძოლაც უკიდურესობამდე დაძაბულად წარიმართა.

ამერიკელი დიდოსტატის გამოწვევამ საქციელმა აღელვა სპასკი და იგი პირველ ათ პარტიაში უჩვეულოდ თამაშობდა. მის სვლებს თითქოს დაეკარგა მიზანდასახულობა, სიზუსტე. შემდგომ სპასკი მოერია საკუთარ თავს, მაგრამ სტარტზე დაკარგული ველარ აინაზღაურა. ფიშერმა ყაიმებით შეინარჩუნა უპირატესობა და მატჩიც მოიგო.

გთავაზობთ სპასკი — ფიშერის მატჩის მსვლელობას: 1:0, 2:0, 2:1, 2,5:1,5, 2,5:2,5, 2,5:3,5, 3:4, 3,5:5,5, 3,5:6,5, 4,5:6,5, 5:7, 5:9, 5,5:8,5, 6:9, 6,5:9,5, 7:10, 7,5:10,5, 8:11, 8,5:11,5, 8,5:12,5 (+3—7=11).

ჭადრაკის სამყარო ინტერესით შეხვდა მეთერთმეტე მსოფლიო ჩემპიონს. „ამერიკელმა დიდოსტატმა დამაჯერებლად გვაჩვენა, რომ ჭადრაკისადმი მისი დამოკიდებულება უმაღლეს შეფასებას იმსახურებს" (მ. ბოტვინიკი).

**თ. გიორგაძე.**





**საყოველთაო** ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩები არგენტინის სტადიონებზე. **მარცხენა სურათზე** თქვენ ხედავთ არგენტინისა და საფრანგეთის გუნდების შეხვედრის ერთ-ერთ მწვავე მომენტს. აი, ასეთ აკრობატულ ნახტომში შეძლო არგენტინელთა მცველმა დ. პასარელამ მოეგერიებინა ბურთი ფრანგ თავდამსხმელ ბ. ლაკომბთან ბრძოლაში; **მარჯვნივ** — გათამაშების სტარტზე საუკეთესო თამაშით გამოირჩეოდნენ იტალიელი ფეხბურთელები, რომლებმაც წინასწარ ჯგუფში დაამარცხეს მომავალი მსოფლიო ჩემპიონი — არგენტინის გუნდი (1:0). იტალიელთა თავდამსხმელი რ. ბეტეგა ამ მატჩში გატანილი ერთადერთი ბურთის ავტორი იყო.

## ჭადრაკი

### საკავშირო მასობრივი

**დაუგავპილსი,** 1 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო სსრ კავშირის ჟაქთა 46-ე ჩემპიონატის მასობრივი შესარჩევი ტურნირი. ბრძოლაში 64 მოჭადრაკე ჩაება. I ადგილზე გასული მოჭადრაკე პირდაპირ უმაღლესი ლიგის ტურნირში დაიშვება, II-VII ადგილების მფლობელნი — I ლიგის ტურნირში.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ ცნობილი დიდოსტატები დ. ბრონშტეინი, ა. სუეტინი (ორივე — მოსკოვი), ლ. ალბურტი (ოდესა), რ. ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი) და ვ. ცეშკოვსკი (ომსკი). საქართველოს წარმოადგენენ: დიდოსტატი ე. გუფელდი, ოსტატები — რესპუბლიკის ჩემპიონი გ. ზაიჩიკი, ზ. სტურუა და ოსტატობის კანდიდატი დ. გედევანიშვილი.

გთავაზობთ ჩვენი მოჭადრაკეების შედეგებს: I ტური. ზაიჩიკმა მოუგო საერთაშორისო ოსტატ ი. კლოვანს (რიგა), გედევანიშვილი დაუზავდა ვ. ეინგორნს (ოდესა), გუფელდი დამარცხდა ოსტატ ვ. პერესიპკინთან (კიევი), სტურუა — ოსტატ ს. დოლმატოვთან (მოსკოვი). II ტური. გედევანიშვილმა სძლია ლენინგრადის ჩემპიონ, ოსტატ ა. ლუკინს, გუფელდმა — ოსტატ მ. შერეშევსკის (მინსკი). ზაიჩიკის შეხვედრა ვ. გავრიკოვთან (მოლდავეთი) ყაიმით დამთავრდა. სტურუამ წააგო ვ. კიმთან (ნოვოსიბირსკი).

ტურნირს ლიდერობენ ხოლმოვი, დოლმატოვი და ვოროტნიკოვი (ლენინგრადი).

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის ოცდამეექვსე ტირაჟისა, რომელიც 28 ივნისს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2007 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 59, ოთხისთვის — 34, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2": ექვსი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ექვსისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 1450, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 49, ოთხისთვის — 24, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 9 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი, 26-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

პირველი: 1 (კალათბურთი), 4 (კრივი), 8 (ველოგზატკეცილი), 11 (ტანვარჯიში), 15 (ძიუდო).

მეორე: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 11 (ტანვარჯიში), 19 (სათხილამურო რბოლა), 22 (ცურვა), 25 (საციგაო სპორტი).

## კალათბურთი

**მექსიკის** კალათბურთის ფედერაციის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის მეორე დღეს საბჭოთა ნაკრებმა მოუგო მექსიკის გუნდს — 83:57. საბჭოთა ნაკრებიდან ყველაზე შედეგიანი იყო ვ. ჟიგილიი — 17 ქულა. მასპინძელთა გუნდი შედგებოდა აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტებისგან, ხოლო მექსიკის ეროვნულმა ნაკრებმა წააგო პანამის გუნდთან 82:100. წაგებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ცნობილი კალათბურთელი მ. რაგა — 22 ქულა. შეჯიბრების მეხუთე მონაწილე მერილენდის უნივერსიტეტის გუნდი ამ დღეს თავისუფალი იყო.

## სროლა

**ლვოვში** დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი ოლიმპიურ ვარჯიშებში. „გაქცეულ ტახზე" ასპარეზობაში სოხუმელმა ა. გოროდიანკინმა, რომელიც დოსააფის ნაკრებში გამოდიოდა, ს. შაბანოვთან, გ. მალუხინთან და ი. სოკოლოვთან ერთად 2275 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი გახდა შეიარაღებული ძალების პირველი ნაკრები (ა. კედიაროვი, ა. გაზოვი, მ. პანფილოვი და ა. უტრობინი) — 2302.

მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტზე (3×40) სროლაში არმიის პირველმა ნაკრებმა (ვ. ვლასოვი, ბ. დანილჩენკო, ა. ბულგაკოვი, მ. სუპრანოვიჩი) 4631 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის ოქროს მედლები მიიღო. სამაგიეროდ, ამავე იარაღით წოლელა 60 გასროლაში „დინამოს" პირველმა კვარტეტმა (ბ. პოლიაკი, ი. მედოევი, ა. კლეიმანი, ა. გუცუ) იმარჯვა — 2378.

## ველოსპორტი

**იუგოსლავიის** გზებზე გრძელდება მრავალდღიანი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც „იუგოსლავიის ტურის" სახელით არის ცნობილი. მეშვიდე ეტაპზე ფინიშთან დიდი ჯგუფი მივიდა. 114-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო ვ. ფუმიჩი (იუგოსლავია).

ამ ეტაპის შემდეგ ლიდერობას კვლავ საბჭოთა ნაკრები ინარჩუნებს, ხოლო პირად ტურნირში I-IV ადგილებზე არიან ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები პიკუსი, ნიკიტენკო, ჰუსეინოვი და ავერინი.

## წყალში ხტომა

**ერევანში** წყალში მხტომელთა საკავშირო ჩემპიონატში თავი ისახელა ადგილობრივმა სპორტსმენმა, ევროპის ზარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორმა დ. ამბარცუმიანმა, რომელმაც ყველას აჯობა 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში — 850,03 ქულა. II ადგილი წილად ხვდა სარატოველ ვ. ტროშინს — 793,49 ქულა, ხოლო III — მინსკელ ვ. ალეინიკს — 791,55.

## კრივი

### რატომ დამარცხდნენ ამერიკელები?

**ბელგრადი** იუგოსლავიის დედაქალაქში გამართულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში აშშ-ის სპორტსმენთა წარუმატებელი გამოსვლა ბევრი სპეციალისტის მსჯელობის საგანი გახდა. „მაშინ, როცა დანარჩენმა ქვეყნებმა გულდასმით შეისწავლეს 1976 წლის ოლიმპიური თამაშების გაკვეთილები, ამერიკელებმა დაივიწყეს სწორედ ის, რასაც თავად ასწავლიდნენ მეტოქეებს". — ამ დასკვნამდე მივიდა რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ჯონ ჰენდერსონი.

მონრეალში ორი წლის წინათ ამერიკელმა მოკრივეებმა აჩვენეს ბრძოლის წარმოების ახალი ტაქტიკა. მათი მეტოქეები ირჩევდნენ ორთაბრძოლის კლასიკურ მანერას, დგომს მაღლა აწეული ხელებით, თითქმის ყოველი შეტევის პირდაპირი დარტყმით დაწყებას. ამერიკელმა მოკრივეებმა, რომლებიც ცდილობდნენ მეტოქეთა „გახსნას", მიმართეს დიდი რაოდენობით გვერდით მანევრებს. ამას გარდა, ისინი შეტევას იწყებდნენ კორპუსზე გვერდითი დარტყმებით, რათა აეძულებინათ მეტოქე ხელები დაეშვა და გახსნილიყო.

ბელგრადში ეს ილეთი ბევრმა გამოიყენა მაშინ, როცა ამერიკელებმა სრულიად დაივიწყეს ბრძოლის წარმოების მსგავსი „ფორმულა".

უდავოდ, ამის მიზეზი ის იყო, რომ ხელმძღვანელებმა დააყოვნეს აშშ-ის ნაკრების დაკომპლექტება, გუნდის შემადგენლობა გამგზავრებამდე რამდენიმე დღის წინ იქნა ცნობილი და მწვრთნელ პატ ნაპს, რომელიც 1976 წლის ოლიმპიურ ნაკრებს ხელმძღვანელობდა, დრო არ ჰქონდა შეექმნა მოკრივეთა მებრძოლი ჯგუფი. მიუხედავად დაუღალავი შრომისა, მას არ ჰქონდა არავითარი შანსი გაეკეთებინა რაიმე ღირებული „ახალგამოცხვარი" სპორტსმენებისგან. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-31; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.